ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:

წინო ბალანჩივაძე

დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: „ლაკადა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **242728679**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☑ **პროფესიული კოლეჯი**

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს 775 ბრძანების საფუძველზე, სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ მიერ „სამკერვალო წარმოების“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში 2018 წლის 3 და 4 სექტემბერს.

2018 წლის 27 აგვისტოს ჯგუფი შეიკრიბა და დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნულ შეხვედრაზე შეთანხმებისამებრ, ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული სრული ინფორმაცია. ექპერტთა ჯგუფმა გამოთხოვა მოდულის განმახორციელებლის ხელშეკრულების ნიმუში და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულებამ უზრუნველყო სრულყოფილი დოკუმენტაციის მოწოდება (განმახორციელებლებთან გაფორემებული ხელშეკრულებები და შემუშავებული გეგმები).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს N17 გადაწყვეტილებაში 2018 წლის 6 მარტს შესული ცვლილების შედეგად (N15 გადაწყვეტილება) კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 147-ით.
„სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯს გამიზნული აქვს 30 პროფესიული სტუდენტის მომზადება, რომელთაც მოემსახურება 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი .

ვიზიტის დასაწყისში შედგა შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებთან, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 3 სექტემბრის 165 ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფთან საკონტაქტო/პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელმაც მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოადგინა მოთხოვნისამებრ ეტაპობრივად. ექსპერტებმა გადაამოწმეს პროგრამა და რეგულაციები მატერიალურად. ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე და შეამოწმა ბიბლიოთეკა. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში მოკვლეული საკითხები და გააცნეს ხარისხის მართვის მენეჯერს (ეცნობა პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობის და საიტზე განთავსებული რეგულაციების განახლების საჭიროების შესახებ).

ვიზიტის მეორე დღეს მოხდა სასწავლო გარემოს შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა შემოწმება და ასევე, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტის მონახულება. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებლებს. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოების ანალიზი, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოისმინეს ჯგუფის წევრების მუშაობის შედეგები და ექსპერტების მიერ მიეცათ გარკვეული რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ხასიათდებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზებულობით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	√	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორი ზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	√	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	√	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	√	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	√	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	√	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	√	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	√	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	√	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	√	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების მიერ გამოცხადებულ მისიაში აქცენტია მეტად მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც გულისხმობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიწოდებას მაღალ დონეზე. აღსანიშნავია, კოლეჯის გამოცდილება ამ მიმართულებით: ოკუპირებული ტერიტორიიდან კოლეჯს ყავს 9 კურსდამთავრებული, ამჟამად 2 პროფესიული სტუდენტის გადის პროგრამას. ასევე, კოლეჯს დამუშავებული აქვს ჩარიცხვის მსურველთა შესახებ მომართვიანობის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 16% (7 პირი) აპირებს მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების შეფასებით არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 ქვესტანდარტი: ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საწარმოო პრაქტიკის მიზნებისთვის გაფორმებულ მემორანდუმში შევიდეს შეთანხმება კონკრეტული სტუდენტთა ჯგუფის პრაქტიკაზე გაშვების წინ დამატებით პირობების დაზუსტების მიზნით. სასურველი განახლებული მემორანდუმი მოიცავდეს პრაქტიკაზე ერთჯერადად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელს.

1.2 ქვესტანდარტი: კატალოგი გამდიდრდეს კოლეჯისთვის აქტუალური ინფორმაციით - პარტნიორები, სტუდენტური ცხოვრების ფოტომასალა, სტუდენტური სერვისები, აკადემიური კალენდარი, გამოცდილება პროექტებში; ასევე სასურველია ვებ გვერდზე კატალოგი იძებნებოდეს წლების მიხედვით ვიზიტორის მიერ დაწესებულების განვითარების დინამიკის შესაფასებლად.

2.8 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია ვებ გვერდზე განთავსდეს მარეგულირებელი დოკუმენტების განახლებული/ბოლო ვერსიები. უმჯობესია თუ საიტზე განთავსდება კოლეჯის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები/ამონარიდები და მათი შესრულების ანგარიშები. ასევე ექსპერტთა რეკომენდაციაა, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.

VII. დაწესებულების მისია

პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას. როგორც რეგიონის ისე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. რომელიც ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 16 აგვისტოს 156 ბრძანებით დამტკიცებულია „სამკერვალო წარმოების“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი დანართებით (სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი), რომელშიც განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

ვიზიტის პირველივე დღეს დაწესებულებას განემარტა, რომ დამტკიცებული პროგრამის მიზნებში (ჩარჩო დოკუმენტისგან განსხვავებით) გამორჩენილი კონკრეტული წინადადება *(„ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და“)*. ვიზიტის მეორე დღეს ხარისხის მართვის მენეჯერმა ექპერტებს წარუდგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 3 სექტემბრის 169 ბრძანება აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 4 დეკემბრის 276 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“, რომლის მოთხოვნები დაცულია: შემუშავებულია ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით და დამტკიცებულია დირექტორის (მოვალეობის შემსრულებლის) მიერ. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა თანმიმდევრულია, გათვალისწინებულია ყველა მოდულის გავლის წინაპირობა და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არ აღემატება 40 აკადემიურ საათს. პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურები ითვალისწინებს სხვადასხვა თანამშრომლების მიერ (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, მასწავლებელი) პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლებამოსილებას.

კოლეჯს აქვს შემუშავებული სტუდენტისთვის ქართული ენის მოდულის სწავლების წესი, სადაც მითითებულია აღნიშნული მოდულის ხანგრძლივობა (11 კვირა) და აღწერილია არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტის უფლებები.

დაწესებულების მიერ, აღნიშნული პროგრამის სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩატარების მიზნით, წარმოდგენილია შპს „ბე ენ ჰაშ“-თან 2018 წლის 11 ივნისს გაფორმებული მემორანდუმი (ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე და ითვალისწინებს ვადის გაგრძელებას), რომლის თანახმადაც საწარმო გამოთქვამს მზადყოფნასა და სურვილს უზრუნველყოს სტუდენტები პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის აუცილებელი გარემო და ინფრასტრუქტურით. ასევე მემორანდუმის საგანი გულისხმობს დასაქმებაში ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ექსპერტები ვიზიტით იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტზე. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კომპანიაში დასაქმებულნი არიან კოლეჯის კურსდამთავრებულები (საგნობრივი პროგრამა - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“). სამწუხაროდ, კომპანიის მხრიდან უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა მისი საზღვარგარეთ ყოფნის გამო. კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გეგმა ამგვარია: კოლეჯის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნის პერიოდში მეთვალყურეობს სტუდენტებს, აკვირდება მათ მიერ სამუშაოს შესრულებას, აღრიცხავს მათ დასწრებას, აწარმოებს შეფასების ინსტრუმენტს და ავსებს შეფასების უწყისს. საწარმოს საქმიანობის მიზნებიდან და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (დასაქმებულის მიერ ერთგვაროვანი სამუშაოს შესრულება გარკვეული დროით) ექპერტებმა დასვეს საკითხი თუ რამდენად ექნება სტუდენტს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში სხვადასხვა სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფარგლებში მის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების რეალურ სამუშაოზე გამოსაყენებლად. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სხვადასხვა ტიპის სამუშაოს განაწილებას. ობიექტის დათვალიერებითა და ადგილზე მყოფი პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ობიექტზე შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ დამატებით საჭიროა კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება, შეთანხმების შეტანის გზით, არეგულირებდეს სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის დაზუსტებულ პირობებს (სტუდენტების რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი, სამუშაო პირობები და ა.შ.).

დამატებით დაწესებულებამ ექპერტებს ასევე წარუდგინა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმი სხვადასხვა სახის (ქალის, მამაკაცის, ბავშვის) და სხვადასხვა სტილის (მათ შორის ქართული ეროვნული) სამოსის მწარმოებელ ადგილობრივ ი/მ, რომლის განახლება „სამკერვალო წარმოების“ პროგრამის მიზნებისთვის შეთანხმებულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან.

2018 წლის 17 აგვისტოს 157 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასების და შეფასების გასაჩივრების წესი, სადაც განხილულია განმსაზღვრელი შეფასების განმეორებით ჩატარების შემთხვევები და პირობები (ერთი კვირის/10 დღის ვადაში) მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით, ასევე 33-ე მუხლში მითითებულია სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა (შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში).

2017 წლის 8 დეკემბრის 277 ბრძანებით განსაზღვრულია „სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენების“ წესი, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის მენეჯერს მიმართავენ მასწავლებლები სამსახურებრივი ბარათით მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნით. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას რეგულაციით განსაზღვრულია გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება. დოკუმენტაციის სახით შექმნილი პროდუქტები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებამდე (ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ბიბლიოთეკაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო მიზნებისთვის), შემოქმედებითი ნაშრომები - 3 წლის ვადით (ასევე საქველმოქმედო ანდ/და საგანმანათლებლო მიზნებისთვის), ხოლო მალფუჭებადი პროდუქტებს აგემოვნებენ სტუდენტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2018 წლის 16 აგვისტოს 156 ბრძანება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. 2018 წლის 3 სექტემბრის 169 ბრძანებით;
3. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
4. 2017 წლის 4 დეკემბრის 276 ბრძანება შესაბამისი წესით;
5. 2017 წლის 8 დეკემბრის 277 ბრძანება შესაბამისი წესით;
6. შპს „ბე ენ ჰაშ“-თან გაფორმებული მემორანდუმით N7;
7. 2018 წლის 17 აგვისტოს 157 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
8. საწარმოში ვიზიტით;
9. პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია 2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური და საგნობრივი) კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ასევე, დასაქმების შესაძლებლობები და სწავლების ხანგრძლივობა. კატალოგში დამატებით ასევე მოცემულია კოლეჯის მისია და ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „სამკერვალო წარმოების“ პროგრამა კატალოგში ასახული იქნება მისი ავტორიზების შემთხვევაში. აღნიშნულ პირს მიეცა რეკომენდაცია კატალოგი გამდიდრდეს კოლეჯის შესახებ აქტუალური ინფორმაციით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით („სამკერვალო წარმოება“ 07120-პ) განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით;
2. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯს 2018 წლის 17 აგვისტოს 157 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლშიც აღწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები (რეგისტრაციის ჩათვლით), სტატუსის შეჩერების შესაძლებლობები, შეწყვეტის საფუძვლები, ასევე მობილობის უფლებით სარგებლობის შემთხვევები და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეგულაცია.
კოლეჯს აქვს შიდა მობილობის განხორციელების პრაქტიკა „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ექპერტებს წარუდგინა აღნიშნული პროცესის - პროგრამიდან პროგრამაზე გადაყვანის აღმწერი სრული დოკუმენტაცია, რომელიც დამუშავებულია მოდულების, სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

დაწესებულებამ ასევე ექპერტებს წარმოუდგინეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის დოკუმენტები (მაგალითის სახით - სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი და ბრძანება) როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე ინტენსიური გაცდენების გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2018 წლის 17 აგვისტოს 157 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. 2018 წლის 10 აგვისტოს 150 და 2018 წლის 3 იანვრის 2 ბრძანებებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
3. გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 28-ე მუხლით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს გადაყვანას სხვა პროგრამაზე ან (მობილობის დადგენილ პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში) სთავაზობს გარე მობილობას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მიზნებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „ჰორიზონტთან“ 2018 წლის 9 აგვისტოს გაფორმებული 5 წლის ვადით, რომელიც სამკერვალო მიმართულებით ახორციელებს ორ პროგრამას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „ჰორიზონტთან“ 2018 წლის 9 აგვისტოს მემორანდუმი.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2017 წლის 27 ნოემბერის 267 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი კოლეჯის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ ციკლის მიხედვით. კოლეჯს შემუშავებული აქვს დამსაქმებლების, მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კითხვარები.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის 2017 წლის შეხვედრის ოქმით (N1) დამტკიცებული 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ლექციებზე დასწრების ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით მასწავლებლების დატრენინგება, მოდულის დასრულების შემდეგ მასწავლებლების და სტუდენტების გამოკითხვა დ ანალიზი და შედეგების მიხედვით საჭირო ზომების განხორციელება და სხვა. ხარისხის მართვის მენეჯერმა ექპერტებს წარუდგინა ჩატარებული გამოკითხვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათი ანალიზი და ასევე ისაუბრა ანალიზის შედეგად შემუშავებული/შესამუშავებელი რეკომენდაციების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2017 წლის 27 ნოემბერის 267 ბრძანება შესაბამისი წესით;
2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმით;
3. შევსებული კითხვარებით;
4. გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას უსასყიდლო უზუფრუქტით აქვს გადაცემული ფართი წალენჯიხის რაიონი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 1. N2-ში [redacted] ხელშეკრულება რეგისტრირებულია 19/11/2008, რომელიც ძალაშია „უზუფრუქტუარის“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით (უვადო სარგებლობით).

დაზუსტებული ფართია 3136 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 განაშენიანების ფართი - 476 კვ.მ. შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 1261,95 კვ,მ, აქედან - დამხმარე ფართი: 330,44 კვ.მ და სხვა ფართი: ძირითადი ფართი - 931,51 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2	3136.00
	N1 განაშენიანების ფართი	476
	შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი	1261,95

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]
2. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით №72 (19.11.2008

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სამკერვალო წარმოების" პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი.

- N206 აუდიტორიაში („A" გარემო) განთავსებულია: 18 ერთადგილიანი მერხი, 19 სკამი, 1 პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, დაფა - 1, მასწავლებლის მაგიდა და სკამი (საერთო ფართი 32,67 კვ.მ);
- N307 აუდიტორიაში („B" გარემო) განთავსებულია: კომპიუტერი - 16, კომპიუტერის მაგიდა 15, სკამი - 15, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა - 1, პრინტერი/სკანერი/ქსეროქსის აპარატი - 1, პროექტორი - 1, ასევე ოთახში დამონტაჟებულია კონდიციონერი;
- პროგრამის განხორციელების ადგილზე მოწყობილია ერთი სახელოსნო („C" გარემო), იმ პრაქტიკული სწავლის შედეგების ასათვისებლად, რომელთა განხორციელებაც სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია დაწესებულების ბაზაზე (ოთახი N104 - ფართი 64,28 კვ.მ) სახელოსნოში განთავსებულია პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის საკერავი მანქანა - 15, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით (IRON PRESS) – 1, ორთქლის უთო – 1, მიკროსკოპო -2, სპირტქურა - 2, მანეკენი - 13, პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, მეტრიანი სახაზავები, წყლის ჭურჭლები (საღებავის გასაზავებლად), ჭიკარტები, ძაფის შესაჭრელი მაგრატელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მემორანდუმით N7 (11 ივნისი, 2018 წ) NPP09-A1/ISWD/G/S/18-144;
2. მიღება-ჩაბარების აქტები;
3. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სველი წერტილები განლაგებულია შენობის სამივე სართულზე (პირველ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მესამე სართულზე მამაკაცებისათვის, ხოლო მეორე სართულზე ქალებისათვის). ასევე ყველა სართულზე არის სველი წერილი შშმ პირებისათვის. არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა (ფუნქციონირებს ქვანახშირით).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „ვლადიმერი-2017"-თან დადებული ხელშეკრულებით (ქვანახშირის) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №128 (22.11.2017);
2. ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია"-სთან დადებული ხელშეკრულებით №204-1/1-12. 03.01.2012 წ.;
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სთან დადებული ხელშეკრულებით №3 09.01.2014;
4. გადახდის ქვითრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგად და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 აგვისტოს №163 ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება.

ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებულია 3 ოთხადგილიანი მერხი, 13 სკამი. 3 ინტერნეტში ჩართული ნოუთბუქი, 3 ღია თაროებიანი კარადა წიგნებისათვის, მრავალფუნქციური პრინტერი, ასლის გადაღების და სკანერის შესაძლებლობით. საერთო ფართი - 29,84 კვ.მ.

ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური (ბიბლიოთეკარად მუშაობის ათწლიანი გამოცდილება) პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
2. CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით;
3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“-ში აღრიცხული არის სათანადო პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერი 52 და ნოუთბუქი 45 ცალი, აქედან ადმინისტრაციისათვის 12 ცალი. პროექტორი 8 ცალი; პროექტორის ეკრანი 2 ცალიA3 მრავალფუნქციური ფერადი პრინტერი 2 ცალი; A4 მრავალფუნქციური პრინტერი 7 ცალი. აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მიღება-ჩაბარების აქტებით;
2. ხელშეკრულებებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
3. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული (2018 წლის 21 აგვისტოს ბრძანება N159) „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად. ბრძანებების აღრიცხვა ხდება შესაბამისად მოწესრიგებულ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ექსპერტებს წარედგინათ დანომრილი და ბეჭედდასმული, ხოლო აკინძვა (ზონარგაყრილ მდგომარეობაში) მოხდა ვიზიტის პერიოდში. კოლეჯის იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების სისტემა e-flow-ს. შემოსული და გასული დოკუმენტაცია, მისი აღრიცხვის ჩათვლით ხდება მხოლოდ აღნიშნული სისტემით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მუშაობა განსაზღვრული აქვს საქმისმწარმოებელს, რომელმაც ექსპერტებს უჩვენა კოლეჯის პროფილი აღნიშნულ ბაზაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბრძანებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალით;
2. კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები. ყველა სართულზე გამოკრულია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია.

ბ) შენობაში სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა. შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

გ) პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯის პერსონალს სამედიცინო დახმარების გასაწევად ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი - მედდა. დაწესებულებაში პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით.

დ) წესრიგის დაცვას ახორციელებს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (30.12.2017. ხელშეკრულება N157).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით
2. ვიზუალური დათვალიერებით
3. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით კოლეჯსა და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს შორის.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: სასწავლებლის შენობასთან თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა. არსებობს პირველ სართულზე შესასვლელი სპეციალურად მოწყობილი პანდუსი სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებისათვის, ასევე სამივე სართულზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია შენობის ფასადზე დამონტაჟებული ლიფტით. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და საკონტაქტო მონაცემები. ამასთანავე, სამართლებრივი აქტები, სტუდენტური ცხოვრების ამსახველი სიახლეები, დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის შესახებ განახლებული ინფორმაცია. თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ვებ გვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები ჩანაცვლდეს განახლებული ვერსიებით და განთავსდეს ბიბლიოთეკის კატალოგი, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმები/ამონარიდები შესრულების ანგარიშებით.

აღნიშნული ვებ გვერი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებას, საიდანაც შესაძლებელია ელ. შეტყობინების გაგზავნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ გვერდის www.lakada.edu.ge დათვალიერებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 2 მარტის N1 ოქმით. გეგმაში ნაჩვენებია კოლეჯის SWOT ანალიზი, სტრატეგიული ამოცანები, ინდიკატორებითა და შემოწმების წყაროებით. ამოცანებზე პასუხისმგებელი პირების მითითებით. გეგმაში ასევე შეტანილია კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები. ზემოთხსენებული ოქმით ასევე დამტკიცებულია 2018 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც თვეების მიხედვით გაწერილია შესასრულებელი ამოცანები, აქტივობებით, რომლებზეც განსაზღვრულია როგორც პასუხისმგებელი ასევე შემსრულებელი პირები, ასევე ნაჩვენებია ინდიკატორები (მათ შორის გათვალისწინებულია დასამატებელი პროგრამის შემუშავება).
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საბჭოს 2018 წლის 2 მარტის N1 ოქმით;
2. სტრატეგიული გეგმით;
3. სამოქმედო გეგმით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
თანამშრომელთა პირადი საქმეების, ხელშეკრულებების და დირექტორის ბრძანებების (პერსონალის შერჩევის კომისიის შექმნის შესახებ) შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.
კოლეჯს აქვს თანამშრომლის კონკურსის წესით არჩევის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო პირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაოს აღწერილობას (2018 წლის 16 მაისის სხდომის შედეგად მედდის პოზიციაზე დაინიშნა პირი). ამჟამად, კოლეჯს გამოცხადებული აქვს ვაკანსია იურისტის თანამდებობაზე.

კოლეჯს ხელმძღვანელობს და დამსაქმებლის უფლებამოსილებით სარგებლობს კოლეჯის დირექტორი (მიმდინარე ეტაპზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი), რომელიც კოლეჯის წესდების თანახმად, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას. პროფესიული კოლეჯის შინაგანაწესი აწესრიგებს კოლეჯის საქმიანობის სფეროში შრომით ურთიერთობებს, დამსაქმებელსა და დასაქმებულთა შორის შრომით ურთიერთობებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კოლეჯის სტრუქტურა შედგება კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალისა და პედაგოგიური რესურსისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობებს არეგულირებს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 13 თებერვლის სხდომის N2 ოქმით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები.

კოლეჯის შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია დასაქმების მსურველთათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები (18 წლის ქმედუნარიანი პირი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აქვს სათანადო ცოდნა და უნარები). რეგულაციის მიხედვით სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის მიერ დასაქმების მსურველთა (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) შერჩევა ხდება კანდიდატთან გასაუბრებით. ასევე, შესაძლებელია კონკურსის წესით დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისადაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის წესდებით;
2. კოლეჯის შინაგანაწესით;
3. სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 2 ოქმი;
4. თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
5. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით პერსონალის შერჩევის კომისიის შექმნის შესახებ;
6. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
7. გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად, თითოეული პროფესიული მასწავლებლის პირად საქმეში ინახება წერილობითი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადი რეზიუმე (CV), განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ცნობა შესაბამისი ორგანოდან ნასამართლეობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია საბანკო რეკვიზიტების შესახებ და 2 ფოტოსურათი 3X4 -ზე.

პროფესიულ კოლეჯში ,,ლაკადა'' ფაქტობრივი მდოგმარეობით (ბაზის მონაცემებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საქმისმწარმოებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,) კოლეჯში ამჟამად ირიცხება 67 პროფესიული სტუდენტი და 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა „სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე ნავარაუდევია 30/10.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პირადი საქმეებით;
2. შინაგანაწესით;
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით პერსონალის შერჩევის კომისიის სექმნის შესახებ;
4. პროფესიულ კოლეჯში სხვადასხვა პერსონალის კონკურსის წესით არჩევის მიზნით შექმნილი კომისიის სამუშაო შეხვედრების ოქმებით;
5. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
6. გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელთა შერჩევის წესი განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების შერჩევის პირობებსა და პროცედურებს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მასში განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა არსებითი პირობა. მასში შეტანილია ხელშეკრულების საგანი, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი შრომითი საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები; სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, შვებულება, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დავების გადაწყვეტა, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, ცვლილებები და დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შინაგანაწესით;
2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით პერსონალის შერჩევის კომისიის შექმნის შესახებ;
3. პროფესიულ კოლეჯში სხვადასხვა პერსონალის კონკურსის წესით არჩევის მიზნით შექმნილი კომისიის სამუშაო შეხვედრების ოქმებით;
4. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
5. გასაუბრებით.

შეფასება:

√ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	ტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა ისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სამკერვალო წარმოება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 15.10.18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: